



ახალი ტანათლეტა

2013 წელი, 23-29 იანვარი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№1 (635) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge




ლახამულას საჯარო სკოლა

გვერდი 4

**არ მიყვარს
შეუსაბამო
ოცნებები და
მიზნები,
რომლებიც
ფიზიკურად
მიუღწეველია**

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები
უცხოეთში“ სტუმარია ანანო ჩომახიძე



გვერდი 4

**უსნაური
გადაწყვეტილებით
ნაკოვნი „ნამღვილი საქმე“**



ინფორმაცია

სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტი ამოქმედდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტის განხორციელებას იწყებს. პროექტის პრეზენტაცია კონრად ადენაუერის

სახელობის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორმა **ჯანან ათილგენმა** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** გახსნეს. პროექტის „საჯარო სკოლებში

სამოქალაქო განათლების ხარისხიანი სწავლების ხელშეწყობა“ მიზანია: სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობის და შესაბამისი უნარების განვითარების გზით, საქართველოს საჯარო სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის სწავლით მოზარდთა დაინტერესება და სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

პროექტის ამოცანებია:

- სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის დამატებითი ინფორმაციისა და მეთოდური საშუალებების მიწოდება;
- სამოქალაქო განათლების პედაგოგებს შორის კონტაქტების გაღრმავება და არსებული გაერთიანებების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო განათლების ლობირება და შესაბამისი პოლიტიკის მხარდაჭერა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგები სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის. ასევე, ქართველი და გერმანელი ექსპერტები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, იმუშავებენ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელო დოკუმენტებზე, მოენწყობა მრავალი მაგიდები და თემატური კონფერენციები.



პროექტი სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, აჭარისა და კახეთის რეგიონების

სკოლებში განხორციელდება. პროექტს, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ, ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოს ტრენერ პედაგოგთა კავშირ „ლამპართან“ თანამშრომლობით.



სოფლის სკოლის ბიბლიოთეკა ნიგნიერების შანსია

მაკა ყიფიანი

საქართველოში, უკვე რამდენიმე წელია, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ტარდება მოსწავლეებში ნიგნიერების დონის კვლევები. შედეგები სავალალოა. კვლევა ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა ნიგნიერების თვალსაზრისით სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორის დიდი განსხვავებაა – 60-50 ერთეული. საერთაშორისო ორგანიზაციების ხუთ რეკომენდაციას შორის ერთ-ერთი სასკოლო და საკლასო ბიბლიოთეკების მოწყობა და განახლებაა. მაღალმთიანი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არა თუ ხელი არ მიუწვდებათ, ფიზიკურადაც არ უნახავთ ოცდამეერთე საუკუნეში გამოცემული ალბომები, მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. მოსწავლეებში ნიგნიერების ამაღლების მიზნით, რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციის „ზეკარის“ ინიციატივით, მომზადდა პროექტი: „სოფლის სკოლის ბიბლიოთეკა ნიგნიერების შანსია“, რომელიც დაფინანსდა ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ მიერ.

პროექტის მიზანია: რაჭა-ლეჩხუმის სოფლის სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობისთვის და მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ოცდამეერთე საუკუნეში გამოცემული საბავშვო და საყმაწვილო, მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა; სამიზნე სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის შეხვედრა საბავშვო მწერალთან; რეგიონის სკოლების მოსწავლეებში ნიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, საფუძველი ჩაეყაროს ლიტერატურულ კონკურსს „ჩემი საყვარელი წიგნი“.

პროექტი ხორციელდება საქართველოს სამ მაღალმთიან რაიონში: ამბროლაურში, ონში, ცაგერში, შესაბამისი აქტივობებით – სამი რაიონის შვიდ სკოლაში (ნიკორწმინდა, ხიდიკარი, წესი, უწერა, შეუბანი, ალპანა, ორბელი) ჩატარებული „საბიბლიოთეკო პიკნიკებით“, სა-

ბავშვო მწერალთან შეხვედრებით, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ფოკუსირებას პრობლემებზე; მრავალი მაგიდის გამართვით, სადაც პროექტი მონაწილე და პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა მხარეს დისკუსიაში მონაწილეობის საშუალება მიეცემა; რაც მთავარია, ასოციაცია „ზეკარს“, მდიდარი მოძრავი ბიბლიოთეკით, ნიგნიერებასთან, კითხვასთან და ლიტერატურასთან დაკავშირებული აქტივობისა და კონკურსების მოწყობის საშუალება ექნება. მსგავსი საქმიანობა პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება.

მანანა ბოჭორიშვილი, პროექტის „სოფლის სკოლის ბიბლიოთეკა ნიგნიერების შანსია“ ხელმძღვანელი: „მოგვხსენებთ, რაჭა-ლეჩხუმის მაღალმთიანი სოფლის სკოლების ბიბლიოთეკები, სამწუხაროდ, ამ საუკუნეში არ განახლებულა. დამეთანხმებით ალბათ, რომ სასკოლო ბიბლიოთეკების მოწყობა და მათი ამოქმედება ნიგნიერების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ რეგიონში არსებული სკოლების უმეტესობა მცირეკონტინენტურია, მოსწავლეთა ვაუჩრული დაფინანსება სკოლის ხარჯებს ვერ ფარავს. სოფლებში სიღარიბის შესაბამისად იზრდება მიგრაცია, მცირდება მოსწავლეთა რაოდენობა და, შესაბამისად, სკოლების რიცხვი. სოფლის სკოლის მოსწავლეთა ნახევარზე მეტი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახიდანაა. რაჭა-ლეჩხუმის სოფლების მოსწავლე ახალგაზრდობისთვის ხელმისაწვდომი არ არის საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურა, შესაბამისად მოსწავლეებში ნიგნიერების დონე დაბალია. პრობლემიდან გამომდინარე ჩავიფიქრეთ პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობდა ნიგნიერების ამაღლებას ერთი კონკრეტული რეგიონის ახალგაზრდებში. თავდაპირველად შევექმენით მისი განხორციელების სქემა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა მომდევნო საქმიანობები: შე-

ვიძინეთ ლიტერატურა, შევარჩიეთ საბავშვო მწერალი, რომელსაც სოფლის სკოლებში ეტაპობრივად შეხვედებიან მასწავლებლები და მოსწავლეები; გაიმართება „მოძრავი ბიბლიოთეკის“ პრეზენტაციები; მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლებისთვის გამოცხადდება სპეციალური კონკურსი; ჩატარდება მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონფერენციები; კონფერენციის მონაწილეებს საჩუქრად გადაეცემა მოძრავი ბიბლიოთეკის ნაწილი; ნაწილი კი დარჩება მსურველი სკოლებისთვის, როგორც ხელმისაწვდომი „მოძრავი რესურსი“.

პროექტის პირველი ეტაპი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში უკვე განხორციელდა. პრეზენტაციაზე მონეული იყვნენ ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რეგიონული და რაიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, სკოლის დირექტორები, პედაგოგები, ადგილობრივი მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაჭუთისის, ნიკორწმინდისა და წესის სკოლებში გაიმართა მოძრავი ბიბლიოთეკის პრეზენტაცია; მოსწავლეები შეხვედნენ საბავშვო მწერალს, ქალბატონ თამარ ადამიას, გაიმართა ინტერაქტიული დიალოგი.

თამარ ადამია: „ჩემთვის ძალიან საინტერესოა ამ პროექტში მონაწილეობა. მწერალს დიდ გამოცდილებას სძენს მკითხველთან შეხვედრა. ეს შეხვედრები, ალბათ, დაუფიქრებელი იყო, რომ რამდენიმე მოსწავლეს სურვილი გაუჩნდა საკუთარი ნაწარმოებები წაეკითხა ჩვენი. სწორედ ამიტომ გაჩნდა იდეა, მოვაზადოთ „მწერალი მოსწავლეები“ მიერ დაწერილი ნაწარმოებების და ხატვის ნიჭის მქონე მოსწავლეების თანამშრომლობით შექმნი-



ლი თვითნაკეთი წიგნების გამოფენა რეგიონული მასშტაბით, რომელსაც ორგანიზებას ასოციაცია „ზეკარი“ გაუწევს“.

პროექტი გრძელდება. რაჭა-ლეჩხუმის მოსწავლეთა ნიგნიერების ამაღლება კონკურსით მონაწილე მოსწავლეთა კონფერენცია-გამოფენებით და, რაც მთავარია, მხატვრული ლიტერატურით მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლები დასაჩუქრდებიან.

ლექსები, მოთხრობები, ხელნაკეთი ილუსტრირებული წიგნები, რომლებშიც შევა „მწერალი ბავშვების“ ნაწარმოებები „მხატვარი ბავშვების“ ილუსტრაციებით; გაიმართება ასევე კონკურსი მონაწილე მოსწავლეთა კონფერენცია-გამოფენებით და, რაც მთავარია, მხატვრული ლიტერატურით მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლები დასაჩუქრდებიან.

უსწავრი გადაწყვეტილებით სკოლანი „ნამდვილი საქმე“

შარშან, მეგობრების დაჟინებული თხოვნით, გადავწყვიტე საჯარო სამსახურში მუშაობა შევწყვიტო. რესურს-ცენტრში ქალბატონმა დარეჯან ნიგურაძემ სამი სკოლა შემომთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ ვაკანსია მულახშიც იყო, არჩევანი ლახამულაზე შევჩერე. ცოტა არ იყოს, ჩემი გადაწყვეტილება უცნაურად ეჩვენა ქალბატონ დარეჯანს და მკითხა, თუ ვიცნობდი ვინმეს ლახამულაში.

– დირექტორს ვიცნობ-მეთქი – ისეთი დამაჯერებელი კილოთი ვუპასუხე, თავად გამიკვირდა.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, ნაზი ჭილაძე რომ ლახამულაში ასწავლიდა. მასზე საგაზეთო და რადიოინფორმაცია მქონდა იმ წლებში კაკეთებული. თუმცა, მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევხვდი და არც მიფიქრია, ოდესმე მასთან თანამშრომლობის ბედნიერება თუ მხედვობა წილად. ჩემი გადაწყვეტილება არც ჩემს საახლობლოს დაუტოვებია უკომენტაროდ, მაგრამ აზრი არ შემიცვლია.

ოქტომბრის ერთ მზიან დღით ჩემთვის სრულიად უცხო სოფლის შარას დავადექი...

მადლობელი ვარ საკუთარი თავის, არჩევანში რომ არ შევცდი და უკან არ დავიხიე, რადგან საოცარი სიტუა და სიყვარული უმალ ვიგრძენი. მადლობელი ვარ ჩემი მეგობრების, რომ დამაძალეს და ჩემი ნამდვილი საქმე მაპოვნინეს ამდენი ხნის „შესვენების“ შემდეგ.

ლახამულა მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე სოფელია. წყაროებში XIII ს-ის მეორე ნახევრიდან მოიხსენიება, ამავე საუკუნით თარიღდება წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც „ხიდის მთავარმონასტის“ სახელითაა ცნობილი. აქ დღემდე ინახება ლახამულის ოთხთავი ტყავის ყდი, რომელიც მე-12 საუკუნით თარიღდება. ცნობილია ისიც, რომ ლახამულის წმ. გიორგის ეკლესიაში ფიცის დასადა-

ბად შორეული თემებიდან ჩამოდი-ოდნენ და დამფიცებლებადაც ლახამულელები ჰყავდათ. მეზობელი სოფლები, საუკუნეების განმავლობაში, უდიდესი პატივით ხვდებოდნენ ლახამულის წმ. გიორგის ეკლესიას და ამ სოფლის მცხოვრებლებს, რომლებთანაც ჰქონდათ მოყვრობა, ნათესაობა და სხვ. „ხიდის წმ. გიორგი“ (ჯგრა-აგ ბოგამ) დღესაც მნიშვნელოვან სალოცავად ითვლება ზემო სვანეთში.

ვინაიდან ლახამულა სვანეთის დასავლეთით უკიდურესი სოფელი იყო, ბალსზემო სვანეთიდან ბარში და ბარიდან მთაში მიმავალ მგზავრს ხშირად უწევდა იქ ღამისთევა და მას ლახამულა ღირსეულ მასპინძლობას უწევდა, ამიტომ სტუმარ-მასპინძლობის განსაკუთრებული ტრადიცია სოფელს დღემდე მოჰყვება.

ლახამულის სკოლა, შეიძლება ითქვას, პიონერია მთელი სვანეთის განათლების ისტორიაში. მთელ ბალსქვემო სვანეთში ლახამულის სკოლა ერთადერთი საგანმანათლებლო ცენტრი იყო, რომელიც მიხეილ კვაჭაძემ დააარსა. ეს იყო დაწყებითი სკოლა, რომელიც 1932 წელს არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა და მას ლეო კვაჭაძე ხელმძღვანელობდა. სკოლა ემსახურებოდა როგორც ლახამულის, ისე ბეჩოს, ეცერის, ფარის, ლუშის, ნაკრის ცოდნამომყურებულ ახალგაზრდებს. ასეთი სკოლა სულ სამი იყო ზემო სვანეთში. ლახამულის სკოლადამთავრებული მეცნიერები მაღალ მწვერვლებს წარმატებით იპყრობდნენ. მათ შორის იყვნენ: გამორჩენილი ქართველი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ანგია ბოჭორიშვილი, ალექსი (ალი) დავითიანი – სვანური ენისა და ეთნოგრაფიის აღიარებული მკვლევარი...

დღეს სკოლას სათავეში უდგას უნიჭიერესი ადამიანი, ლახამულელების რძალი, ღირსეული შვილე-

ბის დედა – ნაზი ჭილაძე-საბანიძე, რომელმაც მასწავლებელთა სასერტიფიკაციო (პროფესიული და საგნობრივი – ქართული ენა და ლიტერატურა) და დირექტორების (უკვე მეორედ) გამოცდები წარმატებით ჩააბარა. ის ლახამულის საბაზო სკოლას 1987 წლიდან ხელმძღვანელობს. სკოლა საბაზო საფეხურის, მცირეკონტინგენტიანი და, შესაბამისად, მცირერესურსიანია, მაგრამ ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ დიდ სკოლებს.

ტარდება ძალზე საინტერესო შიდასასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებები. ჩვენმა მოსწავლეებმა რაიონული მასშტაბითაც გვასახელებს ჭაბუკი (მასწავლებელი – მაცი ჭყაძე): 2 პირველი ადგილი (დავით კვიციანი, ანრი დავითიანი) და 1 მეორე (ვენერა სუბელიანი) და 1 მესამე (ლუკა კვიციანი). კონკურსგარეშე კი, მკლავჭიდაში გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ (გიორგი და ბაჩუკი ჭყაძეები).

წლებადელი სასწავლო წელი, სამწუხაროდ, არასტაბილურად და ექსტრემალურად დაიწყო. წლებია არსებობს გეოლოგიური დასკვნა, რომლის საფუძველზეც ლახამულა მენყერსაში ზონადაა გამოცხადებული, ევაკუირებულ იქნა მოსახლეობის ნაწილი. ორი კვირის მანძილზე შეწყვეტილი იყო სასწავლო პროცესი, სოფელი შიშველი ხელებით ებრძოდა სტიქიას... ჩვენ მაინც მოვახერხეთ მონაწილეობა პროექტის „კატასტროფის რისკის შემცირება სკოლებში – დიეკოს“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში.

16 ოქტომბერს ზუგდიდში გაიმართა დასკვნითი პრეზენტაცია და მონაწილეთა დაჯილდოება. მონაწილეობდნენ: ზუგდიდის №1, მესტიის №1, ფოთის №3, ლასურიაშის



და ჩვენი – ლახამულის სკოლები. გამარჯვებული სამი სკოლიდან ერთ-ერთი ჩვენ აღმოვჩნდით. მონაწილეობდნენ VI-VII-VIII-IX კლასების მოსწავლეები: დავით კვიციანი, ლექსო ჭყაძე, ბაჩუკი ჭყაძე, ვენერა სუბელიანი, ანრი დავითიანი. გადმოგვეცა პრიზი – ფერადი პრინტი. ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო, თუმცა ჩვენ მიერ წარმოდგენილმა კლიმატის „ლახამულა-S.O.S!“ დამსრეთაგან ბევრს აუჩუყა გული.

მიუხედავად მცირე რესურსისა და ექსტრემალური სასწავლო პირობებისა, გადავწყვიტეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ბლოგების კონკურსში „გაიცანით ჩემი რაიონი“ მონაწილეობა.

ჩვენი მოსწავლეების ნამუშევარი ათეულში მოხვდა და 3 დეკემბერს, პროექტის პრეზენტაციით, ჟიურის წინაშე წარვდექით (VII-VIII-IX კლასების მოსწავლეები: ბაჩუკი ჭყაძე, ვენერა სუბელიანი, ანრი დავითიანი, ლედი ჭყაძე), ხოლო 18 დეკემბერს დაჯილდოების ცერემონიაზეც აღმოვჩნდით. მართალია, სამუელში ვერ მოვხვდით,

მაგრამ სიგელები და ასლარიანი ვაჭერი გადმოგვეცა.

შეიძლება ბევრისთვის ეს მიღწევა მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო, მაგრამ იმ დიდი და მრავალრიცხოვანი სკოლების ფონზე, ჩვენთვის – სვანეთის სოფლის ერთი პატარა სკოლისთვის – ეს დიდი წარმატება და სტიმულია შემდგომი საქმიანობისთვის.

მინდა სკოლის სახელით მადლობა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასეთი კონკურსი რომ გამოაცხადა და შესაძლებლობა მოგვცა, ჩვენი პატარა სოფელი ყველასთვის გაგვეცნო. მადლობა, რომ 200 ნამუშევრიდან ათეულში მოხვედრის პატივი გვერგო.

მათ, ვისაც დაინტერესებს ჩვენი ბლოგი, შეუძლიათ ნახონ მისამართზე: <https://www.laxamulisskola.blogspot.com>

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა, იმედს ვიტოვებთ, უფალი არ გაგვწირავს და ჯგრააგ ბოგამ დაიფარავს ლახამულას, მის მკვიდრთ და სოფელი იცოცხლებს მრავალუამიერ!

ლალი მარბიანი



გამოხეობა

„ქართული ქართველთ რწმენა...“

გამოხეობა აზა ქაღარიას წერილზე

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, საღვთაღმშობლის ენა...“

სიყვარული უზენაესი ნიჭია ნიჭთა შორის: ღმერთი შემოდის შენში, ღვთიური სულის თანაზიარი ხდები, სიმსუბუქე გეუფლება და მინიერისაგან თავისუფლდები.

დროის თვისება ცვალებადობაა. ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც ცვალებადობას არ ექვემდებარება და ფასდაუდებელია.

ფელო, სხვა არ დასწვი ჩემებ, მე მქენ დასადაგე?! დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე... თვითონაც ქედმოუხრელი ასტრია-

დღეს კი რა ხდება, სკოლაში ფაქტობრივად ენა აღარ ისწავლება. იაკობ გოგებაშვილი კი გვეუბნება: დედაუნა არის დედაბოძი

ით ენაბრკელი, უცხოური ტერმინებით დამძიმებულ საუბარს და ყურადღების დაძაბვა გჭირდება მის აღსაქმელად, რადგან ბუნებრივად არ შემოდის შენში, აცდენილია გენეტიკურ კოდს.

დღეს, სკოლაში, ქართული ენა და ლიტერატურა კი არა, ლიტერატურა ისწავლება, ენის სწავლება გაქრა.

გრამატიკული მასალა ხომ არის გათვალისწინებული, მაგრამ უსისტემოდ საკითხიდან საკითხზე ხტომა ფუნდამენტურ ცოდნას ვერ შესძენს მოსწავლეს.

კაპატიონი ჭიჭინაძე ამბროლაურის რაიონის სოფელ ველევის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი, სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

თანამშრომლობა და მრავალფეროვანი რესურსი სწავლა-სწავლების საუკეთესო პრაქტიკა

სსიპ ხონის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი - ნუნუ მანაგაძე-ანდრიძე), სხვა სკოლებთან ერთად, შეირჩა საპილოტე სკოლად.



თქვა, მარკერები. 2.1. „ანბანი“

შექმნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მარიამ მამიაშვილმა, მოსწავლეებთან ერთად.

მიზანი: დაწვებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეს ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი.

გამოყენებული მასალა: ბზის ტოტი, ქოთან, ქვიშა, ფერადი ქაღალდები, მარკერი.

2.2. „პეფისისტაოსანი“

მიზანი: მოსწავლეს გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც ხელოვნების დარგის აღქმისა და „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ეროვნული ფასეულობის გაცნობიერების უნარი.

გამოყენებული რესურსები: მოსწავლეების მიერ ხელით გადანიჭილი „ვეფხისტყაოსანი“, თეკა.

3. საპარტიკული დროის ისტორია შექმნის ისტორიის პედაგოგებმა - მადონა გოფოძემ და მაია მაჭარაძემ, X კლასის მოსწავლეებთან ერთად.

მიზანი: საქართველოს ხუთჯგირიანი დროის ისტორიის შესწავლა, გაგება-გაანალიზება.

გამოყენებული მასალა: მინა, ბრინჯი, პოლიეთილენის ნითელი გრანულები, ნებოემულსია, მატყლის თეთრი და ნითელი ძაფები.

4.1. უჯრადის (მცენარეული და ცხოველური) მოდელი

ბიოლოგიის მასწავლებელმა, თინათინ კაკაბაძემ, VI და X კლასების მოსწავლეებთან ერთად, შექმნა უჯრადის მოდელი.

მიზანი: მოდელით მოსწავლემ შეადაროს მცენარეული და ცხოველური უჯრედები, დაასახელოს მათ შორის მსგავსება და განსხვავება, ამოიცნოს ორგანიზმები და იმსჯელოს მათ ფუნქციებზე.

გამოყენებული მასალა: საყოფაცხოვრებო ნივთები (თეფშები), გუაში, თეთრი ქაღალდი, დამცავი.

4.2. გულის მუშაობის მოდელი

მიზანი: მოსწავლეებმა საკუთარი ხელით შექმნან ორგანიზმის სისტემის (გულ-სისხლძარღვთა სისტემის) მოდელი მათი მოქმედების პრინციპის სადემონსტრაციოდ

გამოყენებული რესურსები: ხის დაფა, რეზინის ბუშტები, სამედიცინო საინექციო შპრიცი და გადასხმის სისტემა, ზამბა, გუაში, თეთრი ქაღალდი, ხის კოჭები, სპილენძის მავთულები.

5. ღამშვიდობა სოხუმთან

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა, ავლორა ომანაძემ, მოსწავლეებთან ერთად, ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „შელადოსის“ მიხედვით შექმნა კომპოზიცია

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მხატვრული

ტექსტის გააზრება-გაანალიზება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

გამოყენებული მასალა: საძერწი, ხის დაფა, თეთრი ქაღალდი.

6. „ფართი თამაში თითები“

I კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი - ნუნუ ტყეშელაშვილი) შექმნეს გაზაფხულის პეიზაჟი საღებავებში ამოსვრილი პატარა თითებით.

მიზანი: მოსწავლეებში ინტერესის პროვოცირება

გამოყენებული რესურსები: ფერადი ქაღალდი, საღებავები, პირველკლასელების თითები.

7.1. საკვები პროდუქტების, საყოფაცხოვრებო და მეორადი ნივთებისაგან დამზადებული კომპოზიციები.

ინგლისური ენის პედაგოგმა ალისა ჩარკვიანი და ხელოვნების პედაგოგმა ლალი ჯინჭველაძემ, VII და IX კლასების მოსწავლეებთან ერთად, საკვები პროდუქტების, საყოფაცხოვრებო და მეორადი ნივთებისაგან დაამზადეს კომპოზიციები.

მიზანი: საკვები პროდუქტების, საყოფაცხოვრებო და მეორადი ნივთებისაგან კომპოზიციების დამზადება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

გამოყენებული რესურსები: ბრინჯი, წინი-ბურა, მაკარონი, ლობიო, ვერმიშელი, ბისერები, საღებავები, ნებო, ძველი გაზეთი, მინის, ნაყინის, ზეთის ცარიელი ქილები, შვინის ფანტელები.

7.2. ჯინსის ისტორია

მიზანი: ინფორმაციის მოძიება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

გამოყენებული რესურსები: თაბახის ფურცელი, მარკერები, ინტერნეტში მოძიებული ფოტოები, ჯინსის ნაჭრები.

* * *

სკოლაში შექმნილი რესურსით მონაწილეობა მივიღეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე ბაზალეთში, სადაც ჩვენ მიერ წარმოდგენილი რესურსებმა მონაწილეთა დაიმსახურა, როგორც თანამშრომლობითა და მრავალფეროვნა, რისთვისაც სკოლას ქალბატონმა მაია ინასარიძემ ფასიანი საჩუქრები გადასცა.

თინათინ კაკაბაძე, თამარ ჩხენკელი

ინფორმაცია

მინისტრმა 2013 წლის საქმიანობა შეაჯამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2013 წლის საქმიანობის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც **თამარ სანიკიძე** სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მინისტრის ანგარიში მოისმინეს საქართველოს პრეზიდენტმა, მთავრობის წევრებმა, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ყურნალისტებმა.

„ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ახალი გუნდის მთავარი ამოცანა გახლდათ ის, რომ არსებული რესურსები უფრო ეფექტური და სოციალურად ორიენტირებული გაგვეხადა. საბიუჯეტო სახსრები ისე უნდა გადაგვეწიფებინა, რომ თითოეულ ოჯახს და სისტემაში დასაქმებულ პირს ეგრძნო ცვლილებების დასაწყისი, მთავრობის მხარდაჭერა და რეალური განვითარება“ – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

2013 წლის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულეებით დასახული მიზნების გასახორციელებლად არაერთი ახალი პროექტი აამოქმედა:

- ათასწლეულის MCC გამოწვევის მეორე კომპაქტის ფარგლებში განხორციელდა 140 მილიონი დოლარის ინვესტიცია განათლებაში;
- 9 ახალი საჯარო სკოლის მშენებ-

ლობა დაიწყო;

- 600-მდე სკოლის რეაბილიტაცია, 80-ზე მეტი სკოლის გაზიფიცირება და გათბობის საქვებების მოწყობა განხორციელდა, პროცესი გრძელდება;

- სკოლის პედაგოგების ხელფასი 26-60%-ით, ხოლო ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასი 40-45%-ით გაიზარდა;

- ხუთასი ათასამდე მოსწავლეს ხუთი მილიონ ცხრაასი ათასი უფასო სასკოლო სახელმძღვანელო გადაეცა;

- სკოლების სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფა (დღეს უფასო ტრანსპორტით 913 სკოლის 46 520 მოსწავლე სარგებლობს);

- საქართველოს ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით;

- ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიური სამსახური შეიქმნა;

- „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსი“ შემუშავდა;

- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის სტრატეგია მომზადდა, განხორციელდა ახალი პროგრამები და პროექტები სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობის მქონე ბავშვებისათვის;

- საგანმანათლებლო რესურსცენტრების განვითარება;

- ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარის, სკოლის დირექტორისა და მას-

წავლების პროფესიული სტანდარტები შემუშავდა;

- გამჭვირვალე და სამართლიანი ჩარიცხვის წესი და სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში განათლება სრულად დაფინანსდება. მხოლოდ საშემოდგომო ჩარიცხვის შედეგად სახელმწიფო სრული დაფინანსებით 9 000-მდე პირი სარგებლობს;

- ინკლუზიური პროფესიული განათლება. წელს 51 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ჩარიცხა პროფესიულ პროგრამებზე, 300-ზე მეტმა პედაგოგმა შესაბამისი ტრენინგები გაიარა;

- პროფესიული განათლების სტრატეგია 2013-2020 წწ;

- პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგია;

- პროფესიული განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, 2014 წლიდან დაიწყება და მომავალი წლების განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდება 26-მდე ახალი პროფესიული სასწავლებლის დაფუძნების პროცესი;

- პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურული განვითარება;

- პროფესიულ მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა;
- უმაღლეს განათლებაში დაფინანსდა სტრატეგიული მიმართულებები - 17 ფაკულტეტზე 3 529 სტუდენტი ჩარიცხა. სახელმწიფოს მიერ



დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობამ სულ 9 981 სტუდენტი შეადგინა;

- სოციალური პროგრამის ფარგლებში 1411 სტუდენტი დაფინანსდა (2012 წლისგან განსხვავებით, როდესაც დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობამ 798 შეადგინა);

- წელს პირველად სოციალურად დაუცველი სტუდენტები დაფინანსდნენ, რომლებიც ჩარიცხულნი არიან 2011- 2012 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით;

- წელს პირველად ამოქმედდა სოციალური პროგრამა მაგისტრანტებისთვის (65 მაგისტრანტი) და დოქ-

ტორანტების დაფინანსების პროგრამა (137 დოქტორანტი);

- სახელმწიფო სტიპენდიები, 2013 წელს 2717 სტუდენტი იღებს სტიპენდიას;

- წარმატებით მუშაობს ზაფხულის და ზამთრის სკოლები სტუდენტებისთვის;

- „ცოდნისკარის“ პროგრამის ფარგლებში (სწავლა საზღვარგარეთ) 2013 წელს დასაფინანსებლად გაიცა 3 707 048 მლნ. ლარი, რაც დაახლოებით მილიონი ლარით მეტია გასული სასწავლო წლის დაფინანსებასთან შედარებით. სულ, მიმდინარე სასწავლო წელს 97 სტუდენტი დაფინანსდა.



შემოქმედებითი და დასამახსოვრებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი იმთავითვე ზრუნავს სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე, ასევე, მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაზე, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი პროგრამების განხორციელებაში და მეთოდური სახელმძღვანელოების სკოლისთვის დროულად მოწოდებაში. ზემოთ აღნიშნული მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა სწორედ მასწავლებელთა პირველი ეროვნული კონფერენცია თემაზე: „საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“, რომელიც 23-25 დეკემბერს გაიმართა ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“.

კონფერენციის სამუშაო გრაფიკი მეტად საინტერესო, შემოქმედებითი და მრავალსიმომცველი იყო თითოეული მონაწილე პედაგოგისათვის.

პირველ დღეს წარმოდგინილი იყო მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები. მასწავლებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფესიული განვითარების სქემაში მასწავლებელთა ჩართვის დებულებამ, რომელიც აქტიური მსჯელობისა და განსჯის საგანი გახდა.



მეორე დღეს, საგნობრივი სექციების მიხედვით, გამარჯვებული პროექტების პრეზენტაციები გაიმართა. ჩვენთვის – თითოეული პედაგოგისათვის – უმნიშვნელოვანესი იყო კოლეგების მოსმენა, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა შინაარსის პროექტების პრეზენტაციების გაცნობა. კონფერენციაზე პედაგოგებს შო-

რის დაწყებული ურთიერთობა სკოლების ურთიერთობით გაგრძელდება.

დიდი მადლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და მასწავლებლის

სახლს ასეთი ნაყოფიერი და მრავალსიმომცველი ღონისძიებისათვის.

ნონა ყაველაშვილი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი





მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზოვით ტესტების ქრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული ქრებულის ფასი - 10 ლარი



ავტორები: თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I - ძველი ქართული მწერლობა; წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა

- ◆ ქრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიაღვივდებათ სავარაუდო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შეძლებთ დაქლივით ყველა საგამოცდო სირთულე.



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, სავარაუდო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლივს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლწერისა და მართლმეცხველების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

ქრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეკროდუქსიები ხელოვნების კაბინეტისთვის

- 1. ცისფერი ბალები - ედგარ დეგა
2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწვანე თაყვანისცემა - დომიენიო გირლანდაიო
4. ადელ ზლონ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რეზრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მინიები - დიეგო ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძლები ფილის დაბრუნება - რეზრანდტი
10. სძანელა - ერთი ცალის ფასი - 6.5 ლარი

თეატრული კლასიკები გალალი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები - სძარტველოში
3. ქართული ხალხური სძარტველები
4. ძველარმავლები - სძარტველოში
5. სძარტველო მცენარეები
6. ადამიანის კუნთოვანი სისტემა
7. ნიადაგი - სიცოცხლის წყარო
8. ძველი რეგი
9. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამყაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს ფიდი
12. ბიოგრაფიები
13. იაკოვ ხუცესი
14. იონა სძანისძი
15. ავით ბურამიშილი
16. გენიკი
17. რეზრანდტი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. ბიოგრაფიები
23. გრიგოლ მრგელიანი
24. ავით ალბაშენაძე
25. გრიგოლ მრგაძიძე
ერთი ცალის ფასი - 3 ლარი

ქართული მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-V ტომი, - 11 ლარი
◆ მიხეილ ჯავახიშილი (7-ტომეული) I-VII ტომი - 11 ლარი
◆ ლევან გომთუა (7-ტომეული) I-II ტომი - 16 ლარი
◆ ელიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი - 15 ლარი
◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
◆ რეზრანდტი (6-ტომეული) I-VI ტომი - 12 ლარი
◆ ვახტანგ ჭილიძე (9-ტომეული) I-VII ტომი - 12 ლარი
◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
◆ ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი - 12 ლარი
◆ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი - 10 ლარი
◆ გომდარძი მრგელი (5-ტომეული) I-V ტომი - 13 ლარი

მიითთავებია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშილი
2. ბიოგრაფიები
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელუგანი
6. აბაძი ბაძრბაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. ბალოლ იაშივილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიგაშილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რეულოვილი
13. იაკოვ ხუცესი
14. იონა სძანისძი
15. ავით ბურამიშილი
16. გენიკი
17. რეზრანდტი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. ბიოგრაფიები
23. გრიგოლ მრგელიანი
24. ავით ალბაშენაძე
25. გრიგოლ მრგაძიძე
ერთი ცალის ფასი - 4 ლარი

ნიგნის თარო მიმდინარეობს

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“


- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი **ახალი**
- რაფაელ საბატინი - ლამაზი ბართოლმეო ისტორიის მიღმა **ახალი**
- ერნსტ ჰოფმანი - საბანის ელექსირები **ახალი**
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- გილგამეშ კ. ჩესტერტონი - ღონ კისოტის დაბრუნება
- მარბარტ დიუზასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ჯონ გოლდსუორთი - რჩეული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- მონრა დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის დროშისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გენდერება
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვლარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდიერ ჰეგარდი - მონტესუმას ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მემოზარი
- შოლერო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვიგი - მოუთმენლობა გულისა
- ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყვნილობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენბაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



რა არის რა

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ კველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ კველი რომი
- ❖ კველი საბურქანეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნილი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ქალაქები
- ❖ ქიმიკა
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
 ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22




ფასი - 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ნიტელაქტი სკოლას



თამაზ ვასაძე
კომენტირებული
ტექსტი და
ანალიტიკური
გზამკვლევი
9 ლარი



თამაზ ვასაძე
ქართული
აგოგრაფიული
პროზა ლიტერატურის
შემსწავლელთათვის
4 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის
სასკოლო განმარტებითი
ლექსიკონი
10 ლარი

„დიობანა“

ქიმია

საატმოსფერო-საბამოსლო
საქიტხები და ტანსტები
ლ. თევზაძე
ფასი - 5 ლარი

ქიმია

საატმოსფერო
გამოსდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი - 6 ლარი

ფიზიკა

საატმოსფერო
გამოსდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი - 6 ლარი

ბიოლოგია

საატმოსფერო
გამოსდისთვის
ლ. ბურღილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მალრაძე,
ნ. სინარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი - 4 ლარი

გეოგრაფია

საატმოსფერო გამოსდისთვის
ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი - 6 ლარი

ბიოლოგია

კონსპექტი საატმოსფერო
გამოსდისთვის
მ. მაყაშვილი
ფასი - 3.50 ლარი

ქიმია

დამხმარე სახელმძღვანელო
უფროსკლასელებისა და
აბიტურიენტებისათვის
შ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი - 7.50 ლარი

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია

XI-XII კლასები,
კონსპექტი საატმოსფერო
გამოსდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე
ფასი - 6.50 ლარი

მათემატიკა

ხმობარი აბიტურიენტებისა
და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი - 5 ლარი



მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბატაშვილის ქ. №3
 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
 www.axaliganatleba.ge
 E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
 რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

